პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

9 აპრილი ოთხშაბათი 1969

ფასი 2 კაპ.

გამოცემის 49-ე წელი • № 83 (14383)

ხუთწლედის დამდეგიდან — ურეკლამაციოდ

ქუთაისი. (საკ. კორ.). ლითოფონის ქარხნის კოლექტივი, რომელიც ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის სოციალისტურ შეჯიბრებაშია ჩაბმული ერევნის ლაქ-საღებავების ქარხნის კოლექტივთან, ხუთწლედის დამდეგიდან ურეკლამაციოდ მუშაობს. მელითონფონელებმა დიდი გადაჭარბებით შეასრულეს პირველი კვარტალის დავალება, გეგმის გადამეტებით გამოუშვეს ათასობით მანეთის პროდუქცია, ხოლო დავალებით გათვალისწინებულთან შედარებით გადაჭარბებით მოახდინეს ნაწარმის რეალიზაცია და ათეულ ათასობით მანეთი ზეგეგმითი მოგება მიიღეს.

ლენინური შაბათობებისათვის მზადება აქ კარგახანია გაჩაღდა. 12 აპრილს უსასყიდლოდ იმუშავებენ ლითოფონის, ლაქემალებისა და სრესილი საღებავების საამქროთა კოლექტივები, რომლებსაც გამოცდილი სპეციალისტები ა. რობაქიძე, ა. ბასნიაკოვი და ი. ბრეგაძე უძღვებიან.

ემზადებიან

ჰეიათურა. (საკ. კორ.). ქართული მარგანეცის მშრომელები ლენინური შაბათობისათვის ემზადებიან. პარტიის საქალაქო კომიტეტმა შექმნა შაბათობისათვის მზადების შტაბი.

მაღაროებში, მშენებლობებსა და ტრანსპორტზე ამ დღეს უსასყიდლოდ იმუშავებს 15 ათასზე მეტი კაცი. მშრომელები და მოსწავლე ახალგაზრდობა ამ დღეს დარგავენ 100 ათასამდე ძირ ნერგს. ქალაქიდან საჩხერის მიმართულებით გაიწმინდება და კეთილმოეწყობა 6 კილომეტრი გზა, ერთი კილომეტრზე კი დაირგვება მარადმწვანე მცენარეები. სოფლების მიმართულებით შეკეთდება 15 კილომეტრი გზები. საწარმოთა ტერიტორიის, ქალაქის, ქუჩების დასუფთავება - კეთილმოწყობაზე გამოვა 5 ათასი მშრომელი. კომკავშირელები და ახალგაზრდობა ამ დღეს შეაგროვებენ 100 ტონაზე მეტ ლითონის ჯართს.



ჩვენ მივაღწევთ კომუნისტური შრომის გამარჯვებას.

ვ. ი. ლენინი

ლენინური ტრადიცია

დაჭინაურებული

სიმინდის მაღალ მოსავალს იღებენ ყოველ წელს გალის რაიონის სოფელ პირველი გალის კოლმეურნეობა „საბჭოთა კონსტიტუციის“ მემინდვრეები. ახლა აპრილის მექანიზატორებს მინდვრებში გაჰყავთ სათესი აგრეგატები. იწყება თესვა. სურათზე: მექანიზატორი გუდა ჭანტურია (მარცხნივ) და კოლმეურნეობის აგრონომი კლიმენტი ეზუგბაია სიმინდის თესვის წინ.

ფოტო ი. ჭოხონელიძისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).



ათი წლის წინ, საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მოვიდა ომარ ზეიქიძე თბილისის სახელი ჩარხების ქარხანაში და მოკლე დროში აითვისა ზეინკლის რთული პროფესია. ახლა ომარ ზეიქიძე საწარმოს საუკეთესო ამწყობი ზეინკალია, ცვლის დავალებებს 140-150 პროცენტით ასრულებს. მისი ხელიდან მხოლოდ უხადო პროდუქცია გამოდის. სურათზე: კომუნისტური შრომის დამკვრელი ომარ ზეიქიძე.

ფოტო ვ. მორგუნოვისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

ათასობით ქალაქელი და ჭაბუკი გამოეხმაურა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მოწოდებას და სამუშაოდ წავიდა ენგურჰესის მშენებლობაზე. კომკავშირული საგზურით მოვიდა აქ დემობილიზებული მეომარი კოტე ჩაკაბერძაე, რომელიც ახლა კომუნისტური შრომის დამკვრელია. სურათზე: კომკავშირელი კოტე ჩაკაბერია.

ფოტო ი. ჭოხონელიძისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

შრომის ჩირაღდანი

თბილისი. („კომუნისტის“ კორ.). ყველანი კომუნისტურ შაბათობაზე! — ასეთი ლოზუნგები გაჩნდა ამ დღეებში თბილისის ფეხსაცმლის ფაბრიკა „ისნის“ საამქროებში, საწარმოს კეთილმოწყობილ ტერიტორიაზე. მეფეხსაცმლეებმა გადაწყვიტეს 12 აპრილს განსაკუთრებით აღნიშნონ ლენინური შაბათობების 50 წლისთავი. ფაბრიკის საამქროებში იმართება შეკრებები, ზუსტდება ლონისძიებათა პროგრამა, კომუნისტები და კომკავშირელები კომუნისტური შრომის ნამდვილ მაგალითს აჩვენებენ. დამკვრელური შრომა გაჩაღდა მეოთხე საამქროში, სადაც მექანიკური საამქროს კოლექტივი ახალი კონვეიერის მონტაჟს აწარმოებს. ამ 100-120 მეტრი სიგრძის კონვეიერზე, რომელზეც 400-მდე კაცი იმუშავებს, სულ მოკლე ხანში დაიწყება ახალი მოდელის ქალის ფეხსაცმლის წარმოება. მეფეხსაცმლეებმა გადაწყვიტეს 12 აპრილს მასობრივად იმუშაონ ამ კონვეიერის დამონტაჟებაზე.

საერთოდ ამ დღეს პირველ ცვლაში სამუშაოდ გამოვა 2.000 კაცი. ისინი მთელ გამომუშავებულ თანხას ვიეტნამის დახმარების ფონდში გადარიცხავენ. მეორე ცვლა — 2.300 კაცი დასუფთავებს ფაბრიკის ტერიტორიას, შეაგროვებს 5 ტონაზე მეტ ჯართს. ფაბრიკის ეზოში საფუძველი ჩაეყრება დიდ სამამულო ომში დაღუპულ გმირ მეფეხსაცმლეთა დიდების ობელისკს.

შაბათობის შემდეგ მოეწყობა საინტერესო შეხვედრები საწარმოს ვეტერანებთან, რომლებმაც დღემდე ჩირაღდნად მოიტანეს და ახლანდელ თაობას გადმოსცეს ლენინურად შრომის წმიდა ტრადიცია.

□

ერთ დღეში 12 მანქანა

გათუზი. (საკ. კორ.). ელექტრომექანიკური ქარხანა ქალაქის ერთ-ერთი მოწინავე საწარმოა, მისი კოლექტივი გეგმებს მუდამ გადაჭარბებით ასრულებს. პირველი კვარტალის გეგმა ქარხანამ 101,5 პროცენტით შეასრულა.

დღანან რა ლენინურ ვახტზე, ქარხნის მუშებმა მხურვალედ მოიწონეს მოსკოველ რკინიგზელთა თაოსნობა და საზეიმო ვითარებაში ვალდებულება იკისრეს 12 აპრილს, მასობრივი შაბათობების საიუბილეო დღეს მომმზმარებელს გადუგზავნონ 12 ელექტროკარი.

ერთ-ერთ ადგილას

ბაკურიანი. (საკ. კორ.). ბაკურიანის ტურბაზა ერთ-ერთ ადგილად ირჩევს ლენინური შაბათობისათვის. ტურბაზის ეზოში ამოიზარდა ბაღი, ბაღში ამოიზარდა ბაღი, ბაღში ამოიზარდა ბაღი. ეს ბაღი ბაკურიანელ ბავშვებს ეკუთვნის. ბავშვებმა

სახალხო კონტროლიორები ყაირათიანობისათვის ბრძოლაში

„კომუნისტი"

ქუთაისი ჭიათურა

სახალხო კონტროლის გვერდი N 47

ერთვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტში

ცუდი ხელმძღვანელობის შედეგი

უკანასკნელ პერიოდში აბაშისა და დუშეთის რაიონების კოლმეურნეობებმა გარკვეული ღონისძიებები განახორციელეს სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის გასაუმჯობესებლად. დუშეთის რაიონში მთლიანად ლიკვიდირებულია თანხების ხარჯვა კერძო პირებისაგან პირუტყვის შესაძენად. აბაშის რაიონში მკვეთრად გარდაიქმნა სარევიზიო-საკონტროლო მუშაობა, გაძლიერდა ბრძოლა სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დამრღვევთა და საკოლმეურნეო დოვლათის დამტაცებელთა წინააღმდეგ.

მიუხედავად ამისა, აღნიშნული რაიონების კოლმეურნეობებში ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებებია. საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის შემოწმებით დადგენილია, რომ ზოგიერთი არტელი ვერ ასრულებს პროდუქციის წარმოების დადგენილ დავალებას, ვერ იყენებს წარმოების დანახარჯების შემცირების საკუთარ რეზერვებს, არის მატერიალურ ფასეულობათა გაფლანგვა-დატაცების, საკოლმეურნეო თანხების არადანშნულებისამებრ გამოყენებისა და საფინანსო დისციპლინის დარღვევის შემთხვევები.

მაგალითად, იმის გამო, რომ აბაშის რაიონის კოლმეურნეობათა ხელმძღვანელები დაუდევრად ეკიდებიან სიმინდის ნათესებში აგროღონისძიებათა კომპლექსის გატარებას და საკმაოდ დიდ ფართობს გაუთოხნავად ტოვებენ, სიმინდის წარმოების გეგმებს ვერ ასრულებენ. ზოგიერთმა კოლმეურნეობამ შარშან საშუალოდ ჰექტარზე 6-10 ცენტნერი სიმინდის მარცვალი მიიღო.

რაიონის კოლმეურნეობებში ჩაშლილია დაფინანსა და თუთის საკუთარი ნერგის წარმოების საქმე. კოლმეურნეობათა ხელმძღვანელები მრავალწლიანი კულტურების გასაშენებლად სახელმწიფოსაგან მიღებული კრედიტებით მოსახლეობისაგან მაღალ ფასებში აყიდულობდნენ დაფინასა და თუთის ნერგს, რითაც აუარესებდნენ კოლმეურნეობათა ეკონომიკას. სახელმწიფო ბანკის აბაშის რაიონული განყოფილების მმართველი ო. ჭანტურია, რომელსაც სახელმწიფო ბანკის რესპუბლიკურმა კანტორამ აუკრძალა ასეთი ოპერაციების წარმოება, უფლებას აძლევდა კოლმეურნეობებს სახელმწიფო კრედიტების ხარჯზე კერძო პირებისაგან შეეძინათ ნერგი. თავის მხრივ კოლმეურნეობები ბანკის რაიონული განყოფილების ხელშეწყობით თანხას ურიცხავდნენ სოფელ ონტოფოს კოლმეურნეობას, რომელიც კერძო პირებისაგან ნერგის შეძენას და კოლმეურნეობისათვის მიყიდვას აფორმებდა. 1967 წელს სულ შეძენილად ირიცხებოდა 51 ათასი მანეთის 437,1 ათასი ძირი დაფნისა და თუთის ნერგი, ამ გზით ნერგის შეძენა შარშანაც გააგრძელეს. სოფელ ტუნერის კოლმეურნეობამ სოფელ მარნის კოლმეურნეობისათვის ფულის ჩარიცხვის საშუალებით ლანჩხუთის რაიონის მცხოვრებისაგან შეიძინა 9.000 ძირი დაფნის ნერგი 1.170 მანეთად, ანუ ძირი 13 კაპიკად, მაშინ როცა აბაშის რაიონის მცხოვრებნი ძირს 5-7 კაპიკად ყიდიან. ამ უკანონო ოპერაციით კოლმეურნეობამ 700 მანეთი იზარალა.

შემოწმებული რაიონების კოლმეურნეობებს სერიოზული ნაკლოვანებები ჰქონდათ საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების საქმეშიც. არ სრულდებოდა პირუტყვის სულადობის, ხორცის, რძისა და მატყლის წარმოების გეგმები. აბაშის რაიონის კოლმეურნეობებმა შარშან 131 ძროხის შეძენაზე 55 ათასი მანეთი დახარჯეს, ხოლო საკუთარი წარმოებიდან ძროხის ნახირში მხოლოდ 68 სული უშობელი გაანაში 4.600 კილოგრამი დაიკლო. სოფელ კეთილარის კოლმეურნეობაში გასულ წელს 9 თვეში ღორების კვებაზე გადახარჯულია 677 ცენტნერი საკვები ერთეული, რომლის ღირებულება 6,6 ათას მანეთს აღემატება.

კოლმეურნეობებში დაბალია ზოოვეტმომსახურების დონე. არის პირუტყვის სიკვდილიანობისა და იძულებით დაკვლის შემთხვევები. შარშან 10 თვეში აბაშის რაიონის კოლმეურნეობებში დაეხოცათ 168 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, ხოლო დუშეთის რაიონში 500 სული მსხვილფეხა, 158 ღორი და 9.379 ცხვარი და თხა. გარდა ამისა, დუშეთის რაიონის კოლმეურნეობებში იძულებით დაიკლა 350 სული მსხვილფეხა პირუტყვი და 15.415 სული ცხვარი, ანუ მთელი სულადობის 15,7 პროცენტი.

არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა საკვების დამზადების გეგმების შესრულებისა და საჭირო საკვებით პირუტყვის უზრუნველყოფის საქმეში.

აბაშისა და დუშეთის რაიონებთვალისწინებული 2,8 მილიონი მანეთისა. ანალოგიური მდგომარეობაა დუშეთის რაიონში, რის გამო კოლმეურნეობათა უმეტესობა ზარალით ამთავრებს სამეურნეო წელს.

გარანტირებული ანაზღაურებისათვის სახელმწიფოსაგან მიღებული კრედიტების დაბრუნების ვადა დადგა, მაგრამ კოლმეურნეობათა საფინანსო მდგომარეობა სავალალოა. ესესხების დროულად დაბრუნების შესაძლებლობა არა აქვთ.

სათანადო ყურადღება არ ექცევა სარევიზიო-საკონტროლო მუშაობას. დუშეთისა და აბაშის რაიონების სოფლის მეურნეობის საწარმოო სამმართველოებს და კოლმეურნეობების ხელმძღვანელებს ჯერ კიდევ ყველა საჭირო დასკვნა არ გამოუტანიათ საკოლმეურნეო დოვლათის დამტაცებელთა წინააღმდეგ, არ იღებენ გადამჭრელ ზომებს კოლმეურნეობათა სამეურნეო-საფინანსო საქმიანობაში ჯეროვანი წესრიგის დასამყარებლად.

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტმა მასალები ზომების მისაღებად გადაუგზავნა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს, სახელმწიფო ბანკის რესპუბლიკურ კანტორას, საქართველოს კპ აბაშის და დუშეთის რაიონულ კომიტეტებს, ამავე რაიონების სოფლის მეურნეობის საწარმოო სამმართველოებს.

წინადადებებისა და საჩივრების ბიუროში

თვითნება დირექტორი

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტში მამხილებელი წერილი მოვიდა. ავტორი იტყობინებოდა, რომ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სანაშენო საქმისა და ცხოველთა ხელოვნური დათესვლის თელავის სახელმწიფო საადგურის დირექტორი ა. გერმანიშვილი თვითნებობს, არასწორად აფორმებს საბუთებს, კონტროლს არ უწევს სამეურნეო საქმიანობას.

ოთხი სატვირთო ავტომანქანა საერთო საქმისათვის სანახევროდაც არ არის გამოყენებული, სამაგიეროდ მძღოლები თავისუფლად დააქროლებენ მანქანებს, სადაც უნდათ და როცა უნდათ, სადგურს გამოყოფილი არა აქვს მანქანების დასაყენებლად ადგილი.

20 ჰექტარი მიწა, რაც სადგურისათვის არის განკუთვნილი, ცდება. გასულ წელს 13 ჰექტარზე სიმინდი ითესათ, ყანა კერძო პირებს გადასცეს დასამუშავებლად, სრულიად გაუფორმებლად. სიმინდს არ მოუარეს, რის გამოც ძალიან მცირე მოსავალი მიიღეს.

სადგურს 10 ყინი ჰყავს, რომელთა მოვლა-პატრონობის ხარჯები არასწორად ფორმდება. ნაპარს მატყლს შემოსავალში არ ატარებენ და სხვ. საწყობის გამგემ ბასილაშვილმა 2.129 კილოგრამამდე ქერი, 790 კილოგრამი სიმინდი და 2.924 კილოგრამი კომბინირებული საკვები მითვისა.

ზემოთ დასახელებული ფაქტები შეამოწმა საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტმა. ბრალდებები დადასტურდა. მასალები ზომების მისაღებად გადაეგზავნა პარტიის თელავის რაიონულ კომიტეტს. სანაშენო საქმისა და ცხოველთა ხელოვნური დათესვლის თელავის სახელმწიფო სადგურის დირექტორი ა. გერმანიშვილი გათავისუფლებულია თანამდებობიდან, ხოლო საწყობის გამგე ბასილაშვილი მოხსნილია სამუშაოდან, ზარალი დაფარულია.

ბუნდოვანი – მთავარი საგრუნავი

ლიდი და პასუხსაგები როლი დაეკისრა პარტიამ სახალხო კონტროლის მუშაკებს. განსაკუთრებით ბევრი საქმე და საზრუნავი აქვთ მათ საწარმოში. დაკისრებულ მოვალეობას, კარგად ართმევენ თავს ჩვენთან, თბილისის № 6 სამკერვალო ფაბრიკაში შექმნილი სახალხო კონტროლის ჯგუფები და საგუშაგოები, რომლებიც 157 კაცს აერთიანებენ. სახალხო კონტროლიორები მხარში უდგანან პარტიულ ორგანიზაციას და დირექციას ხუთწლიანი გეგმით დასახული ამოცანების წარმატებით განხორციელებასთვის ბრძოლაში.

ჩვენი ფაბრიკის მშრომელებისათვის გასული 1968 წელი აღსავსე იყო შემოქმედებითი ძიებითა და წარმატებებით. რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის საწარმოთა შორის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში პირველი ადგილი დავიკავეთ და მოვიპოვეთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა, რომელსაც ამჟამადაც ვფლობთ.

ამ გამარჯვებაში გარკვეული წვლილი მიუძღვით ჩვენს სახალხო კონტროლიორებს. ისინი განსაკუთრებულ სიფხიზლისა და გულმოდგინებას იჩენენ პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის ბრძოლაში.

შეიქმნა ხარისხის შემმოწმებელი კომისია, რომელიც კვირაში ერთხელ — ყოველ სამშაბათს ამოწმებს პროდუქციის ხარისხს ყველა საამქროში. კომისიაში გაერთიანებული არიან საწარმოო და სადისპეტჩერო განყოფილების მუშაკები, კონსტრუქტორები, კერვის ოსტატები. სამკერვალო საამქროებში დადგმულია დაფები, სადაც იწერება ხარისხის ყოველდღიური მაჩვენებლები. შემოღებულია პასუხისმგებელ პირთა მორიგობა ცვლების მიხედვით, რაც ხელს უწყობს შრომის დისციპლინის განმტკიცებას.

მეტად შედეგიანი გამოდგა ამას წინათ მოწყობილი რეიდი, რომელშიც სახალხო კონტროლიორებთან ერთად მონაწილეობდნენ „კომკავშირული პროჟექტორის" შტაბის წევრები. შემოწმების დროს სამკერვალო საამქროში აღმოჩნდა დარღვევები კოსტუმის კერვის ცალკეული ოპერაციების შესრულებაში. ზოგ კოსტიუმზე იტად იყო დამუშავებული პიჯაკის ჯიბის სამაგრები, შარვლის ქამარზე გასაფორმებელი ვერირისტი არათანაბარად იყო ამოყვანილი, ხარვეზები იყო დალაინდაგებაშიც და სხვ.

შემჩნეულ ნაკლოვანებებზე მიუთითეს უბნის ოსტატებს, ხოლო საამქროს „კომკავშირულმა პროჟექტორმა" ეს ხარვეზები თავის ფურცლებზე გააშუქა.

თბილისის № 6 სამკერვალო ფაბრიკის სახალხო კონტროლის ჯგუფის წევრები: (მარცხნიდან) ნ. ჭელიძე, ს. ბურჯანაძე, ჯ. ულენტი, ნ. სურგულაძე და ნ. ნადირაძე ამოწმებენ პროდუქციის ხარისხს.

ფოტო ბ. ბოგოლიუბოვისა.

ყარისხი – მთავარი საგრუნავი

ეკონომიკური ლიტერატურა ამბობს, ხარისხი ეკონომიკური კატეგორიაა, ეკონომიკური ინტერესებისა და ურთიერთობების ერთ-ერთი ფორმა. ეს ფორმულა ასეთ ადგილებზე ფიქრებს ბადებს. ეს ფორმულა ეხმიანება ადამიანის ინტერესებს, ეხმიანება ადამიანის ინტერესებს, ეხმიანება ადამიანის ინტერესებს. ეს ფორმულა

ერთიანობა და სოლიდარობა

კანადის კომპარტიის ყრილობამ დაამთავრა მუშაობა

ტორონტო, 7 აპრილი. (საკდესი). კანადის კომუნისტთა მე-20 ყრილობის მუშაობის ბოლო დღე აღინიშნა გუშინ იმით, რომ ყრილობამ მიიღო მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტები კანადის საშინაო და საგარეო პოლიტიკის საკითხებზე. დოკუმენტებში ასახულია კომუნისტური პარტიის დამოკიდებულება შინაპოლიტიკური პრობლემებისადმი, აგრეთვე საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის საჭირბოროტო საკითხებისადმი.

ყრილობის დელეგატებმა ერთსულოვნად მოიწონეს გადაწყვეტილება, რომ ხუთ ივნისს მოსკოვში მოწვეულ იქნას კომუნისტური და მუშათა პარტიების საერთაშორისო თათბირი.

კანადელი კომუნისტების ყრილობას მიაჩნია, ნათქვამია ამ საკითხზე მიღებულ რეზოლუციაში, რომ ეს თათბირი დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯია კომუნისტური და მუშათა პარტიების ერთობის განმტკიცებისა და მთელი დემოკრატიული და ანტიიმპერიალისტური ძალების კონსოლიდაციისათვის კაცობრიობის სიერთო მტრის — იმპერიალიზმის წინააღმდეგ.

რეზოლუციაში აღნიშნულია, რომ ყრილობა გმობს მაოისტთა გამთიშველ პოლიტიკას და მათს პროვოკაციულ მოქმედებას, რომელმაც თავისი გამოხატულება პპოვა მათ მიერ ამას წინათ საბჭოთა კავშირ-ჩინეთის საზღვარზე ინსპირირებული კონფლიქტებით.

ყრილობამ დაავალა კანადის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს განაგრძოს ღონისძიებანი მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის ერთიანობის განმტკიცებისათვის და ყოველი ღონე იხმაროს მოსკოვის მომავალი საერთაშორისო თათბირის წარმატების უზრუნველსაყოფად.

კანადის კომპარტიის მე-20 ყრილობამ მოითხოვა, რომ კანადა გამოვიდეს ნატოდან. მან განაცხადა, რომ კანადის მთავრობამ უნდა დაგმოს ამერიკის შეერთებული შტატების გეგმები რაკეტსაწინააღმდეგო სისტემის შექმნისა, რაც გამალებული ატომური შეიარაღების ესკალაციას მოასწავებს.

3. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის მომავალი დღესასწაულისადმი მიძღვნილ სპეციალურ რეზოლუციაში ყრილობამ მნიშვნა კანადის კომუნისტური პარტიის ყველა ორგანიზაციას და მოუწოდა იხმარონ საჭირო ღონისძიებანი იმისათვის, რომ ფართოდ აღნიშნონ ღირსშესანიშნავი იუბილე, იუბილესათვის მზადება შეახამონ ლენინის რევოლუციური მოძღვრების დაუცხრომელ პროპაგანდასთან კანადელ ხალხში.

ყრილობის დელეგატებმა მოითხოვეს დაუყოვნებლივ გაათავისუფლონ ყველა პოლიტიკური პატიმარი, რომლებიც ხიბერნეთის საპატიმროებსა და საკონცენტრაციო ბანაკებში იტანჯებიან.

ყრილობამ აირჩია ცენტრალური კომიტეტის ახალი შემადგენლობა და პარტიის სხვა ხელმძღვანელი ორგანოები. ცენტრალური კომიტეტის პირველ სხდომაზე კანადის კომპარტიის გენერალურ მდივნად კვლავ არჩეულია ამხანაგი **უილიამ ქაშანი.**

კანადის კომპარტიის მე-20 ყრილობამ დაამთავრა მუშაობა.

ლენინის იდეები მასებში

ბოგოტა, 8 აპრილი. (საკდესი). **კოლუმბიის კომუნისტური პარტია, პროფკავშირული, სტუდენტთა და სხვა პროგრესული ორგანიზაციები აქტიურად ემზადებიან, რათა აღნიშნონ ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავი.**

კოლუმბიელ კომუნისტთა ინიციატივით ქალაქებში მოეწყობა კონფერენციები, კრებები, მიტინგები. ქალაქ ქალში გაიმართება საერთო ეროვნული მუშათა სემინარი, რომელიც მიეძღვნება მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის ცხოვრებასა და მოღვაწეობას. ეროვნული უნივერსიტეტის სტუდენტებს განზრახული აქვთ მოაწყონ „ლენინური კვირეული“.

კოლუმბიაში აჩვენებენ ფილმებს ვ. ი. ლენინის შესახებ, გაიხსნება ფოტოგამოფენები, მოეწყობა ლექციები. გამომცემლობა „ედიციონეს სურ-ამერიკა“ ამთავრებს მზადებას ლენინის ნაწარმოებთა პუბლიკაციისათვის. მთელი რიგი ცნობილი კოლუმბიელი მწერლები და ჟურნალისტები მუშაობენ ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ სტატიებსა და წიგნებზე.

ძეგლი დიდ გელაქს

ბუდაპეშტი, 7 აპრილი. (საკდესი). უნგრეთის ქალაქ ეგერში აღიმართება ვ. ი. ლენინის ძეგლი. ძეგლის მშენებლობა დავალებული აქვს უნგრელ მოქანდაკე ა. მაკრისს.

ძეგლი გაიხსნება 1970 წლის აპრილში ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის დღესასწაულობის დროს.

საერთაშორისო ცხოვრება

ხალხთა დამაახლოებელი კონფლიქტები

ფლითიფლობით ფართოვდება საბჭოთა კავშირის ეკონომიური და ტექნიკური თანამშრომლობა აზიის ქვეყნებთან. ამ ურთიერთობის პრინციპებსა და განვითარებაზე ილაპარაკა 7 აპრილს საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტებისათვის გამართულ პრეს-კონფერენციაზე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საგარეოეკონომიური ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ **ი. ვ. არხიპოვმა.**

ი. ვ. არხიპოვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ განსაკუთრებით მჭიდრო ეკონომიური ურთიერთობა გვაქვს აზიის სოციალისტურ ქვეყნებთან. პირველი სოციალისტური სახელმწიფო, რომელთანაც საბჭოთა კავშირმა დამყარა ეკონომიური ურთიერთობა, იყო მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკა. სსრ კავშირის დახმარებით პრაქტიკულად მან ხელახლა შექმნა თავისი მრეწველობა.

კარგი ურთიერთობა გვაქვს კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკასთან, რომელშიც ჩვენი დახმარებით უკვე საექსპლოატაციოდ გადაეცა 50-ზე მეტი დიდი საწარმო და სხვა ობიექტი. თავის მხრივ, საბჭოთა კავშირი კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკიდან იღებს ჩვენი სახალხო მეურნეობისათვის საჭირო საქონელს — სამრეწველო ნედლეულს, თუჯს, ხარისხოვანი ფოლადების ნაგლინს, ფერად ლითონებს, ლითონსაჭრელ ჩარხებს, ელექტროძრავებს, აგრეთვე სახალხო მოხმარების ზოგიერთ სამრეწველო საქონელსა და სოფლის მეურნეობის პროდუქტებს. რაც შეეხება ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკას, ამერიკის აგრესიასთან დაკავშირებით საბჭოთა კავშირი მოძმე სახელმწიფოს უწევს ორა მარტო ეკონომიურ, ორამედ აგრეთვე ფართო სამხედრო დახმარებას. ამ დახმარების შედეგები ცნობილია მსოფლიო საზოგადოებრიობისათვის.

სოციალისტური ქვეყნების გარდა საბჭოთა კავშირთან აქტიურად თანამშრომლობს აზიის კონტინენტის 18 განვითარებადი სახელმწიფო. სსრ კავშირი მათ ეხმარება დამოუკიდებელი ეკონომიკის, უწინარეს ყოვლისა ეროვნული მრეწველობის შექმნასა და განმტკიცებაში.

ეკონომიური და ტექნიკური თანამშრომლობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპია ურთიერთსელსაყრელი თანამშრომლობა. ჩვენი ქვეყნის მიერ მიცემული კრედიტების დასაფარავად ეს სახელმწიფოები სსრ კავშირს აწვდიან ტრადიციულ საექსპორტო საქონელს, აგრეთვე განვითარებადი მრეწველობის ნაწარმს, მათ შორის ჯუთსა და ჯუთის ნაწარმს, გრძელბოჭკოიან ბამბას, ნატურალურ კაუჩუკს, ჩაის, ყავას, ბრინჯს, კაკაოს მარცვალს, ფინიკებს, სანელებელს, ბამბის ქსოვილებს, ყავის ნაწარმს და სხვ.

ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის მკაფიო მაგალითია ის, რომ სსრ კავშირი აშენებს დაეხმარა გაზის სარეწების ორგანიზაციასა და გაზსადენის მშენებლობაში, რის შედეგად ვიღებთ ბუნებრივ გაზს. ანალოგიურ პირობებში საბჭოთა კავშირი დახმარებას უწევს ირანს მაგისტრალური გაზსადენის მშენებლობაში. ინდოეთიდან ვიღებთ ბჰილაის მეტალურგიული ქარხნის ნაგლინსა და განზრახული გვაქვს შემოვიტანოთ რკინიგზის ვაგონები.

(საკდესი).

ელჩი გადადგა

სტამბოლი, 8 აპრილი. (საკდესი). **თურქეთის პრესა იუწყება, რომ გადადგა ამერიკის ელჩი თურქეთში რობერტ კომერი. შარშან ნოემბერში ამ პოსტზე მისმა დანიშნამ თურქეთის საზოგადოებრიობის პროტესტი გამოიწვია.** როცა რ. კომერი ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების სარდლის მოადგილე იყო სამხრეთ ვიეტნამში ელჩის რანგით, იგი იქ ახორციელებდა ცრეთფოდებულ „დაშმშინების“ პროგრამას, რომელიც, როგორც სტამბოლის გაზეთი „აქშამი“ წერდა, ითვალისწინებდა „დაუმორჩილებელი“ სოფლების მოსპობასა და ჯერეთა მასობრივ ხოცვა-ჟლეტას.

ამერიკელი ბიზნესმენი

მსოფლიო დღეს

დეპეშათა სააგენტოები იუწყებიან

ქრონიკა ● პროგლემები

როჯერსის პრეს-კონფერენცია

ვაშინგტონი, 8 აპრილი (საკდესი). **გუშინ თავის პირველ ოფიციალურ პრეს-კონფერენციაზე სახელმწიფო მდივანმა როჯერსმა განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები „არ აპირებს თავისი ჯარების დაუყოვნებლივ გამოყვანას“ სამხრეთ ვიეტნამიდან.** მიუხედავად ამისა, როჯერსი ამტკიცებდა, რომ რესპუბლიკური ადმინისტრაცია ცდილობს მიიღწიოს მშვიდობას ვიეტნამში „ყოველგვარი შესაძლო გზით“.

სახელმწიფო მდივანმა გამოაცხადა, რომ მაისში აპირებს სახხრეთ ვიეტნამში ჩასვლას. როჯერსის თქმით, ეს ვიზიტი გამამართებდა სვეტოს საბჭოს ბანგკოკის სესიის დროს მაისის დამლეგს, სადაც ერთმანეთს შეხვდებიან ვიეტნამის ომის მონაწილე სახელმწიფოთა საგარეო საქმეთა მინისტრები. შემდეგ როჯერსი მონაწილეობას მიიღებს სენტოს საბჭოს თეირანის სესიის მუშაობაში.

როჯერსი შეეხო ახლო აღმოსავლეთის მდგომარეობას და სინაზული გამოთქვა იმის გამო, რომ ისრაელის მთავრობა ეწინააღმდეგება ოთხი სახელმწიფოს ცდებს მიაღწიონ ამ პრობლემის გადაჭრას.

როჯერსმა განაცხადა, რომ „განსაკუთრებული მნიშვნელობა“ აქვს ნატოს საბჭოს სესიას, რომელიც 10-11 აპრილს გაიმართება ვაშინგტონში ამ ბლოკის მე-20 წლისთავის გამო, და ხაზი გაუსვა „ნატოს დიდ მნიშვნელობასა და მისი ძლიერების შენარჩუნების აუცილებლობას“. მან თქვა, რომ ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა ამასწინანდელი მოწოდება ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის პრობლემის თათბირზე თითბირის მოწვევის შესახებ „განხილვის ღირსია“ და ნატოს საბჭოს სესიის დღის წესრიგის ერთ-ერთი საკითხი იქნება.

ფაშისტთა პროვოკაცია

რომი, 8 აპრილი. (საკდესი). **ფაშისტმა პროვოკატორებმა ცეცხლი წაუკიდეს იტალიის კომპარტიის ადგილობრივი სექციის შენობას მილანოს გარეუბანში, წერს დღეს გაზეთი „უნიტა“.** ისინი დამით მიეპარნენ სექციის შენობას, შიგ შეაგდეს პლასტმასის სამი ბენზინიანი პაკეტი და ცეცხლმოკიდებული ჩავარი.

მეზობელი სახლის მცხოვრებლებმა სასწრაფოდ გამოიძახეს სახანძრო რაზმი. პარლამენტის წევრმა კომუნისტებმა მილანოსაგან პოლიციას განუცხადეს პროტესტი და ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ფაშისტთა განუწყვეტელი პროვოკაციების მიუხედავად დღემდე არც ერთი პროვოკატორი არ დაუპატიმრებიათ.

ახალი პრემიერ-მინისტრი

კატმანდუ, 7 აპრილი. (საკდესი) ნეპალის მეფემ მაჰენდრამ ახალ პრემიერ-მინისტრად დანიშნა **კირტინიდჟი ბისტა.** ეს დღეს ოფიციალურად გამოაცხადეს სამეფოს სამდივნოს პრეს-კონფერენციაში, რომელიც ნეპალის რადიომ გადასცა. კ. ბისტა გასული წლის სექტემბრამდე იყო პრემიერ-მინისტრის მოადგილე და საგარეო საქმეთა მინისტრი ს. ბ. თაპაას მთავრობაში, რომელიც 2 აპრილს გადადგა.

მდგომარეობა ნიგერიაში

ნიუ-იორკი, 7 აპრილი. (საკდესი). როგორც ლაგოსიდან იუწყებიან, აღმოსავლეთ ნიგერიის ჯარებმა დაიწყეს ქალაქ უმუაჰიას ერთ-ერთი იმ უკანასკნელი ქალაქის მცხოვრებთა ევაკუაცია, რომელიც სეპარატისტთა ხელშია. ამ ბოლო დრომდე უმუაჰია აღმოსავლეთ ნიგერიის რეზიმის შტაბბინა იყო. ფედერალური შეიარაღებული ძალების მეწინავე ნაწილები იმყოფებიან უმუაჰიიდან 12 კილომეტრზე. ამას იუწყება ლაგოსიდან ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი, რომელიც იმიწმებს ნიგერიის ფედერალური შეიარაღებული ძალების მაღალი თანამდებობის სამხედრო წარმომადგენლის განცხადებას.

კატასტროფა მისისიპზე

ნიუ-იორკი, 7 აპრილი. (საკდესი). **გუშინ ახალი ორლეანის ნავსადგური კაშკაშა ცეცხლის ალმა გაანათა, ხოლო აფეთქებათა მრავალგზისმა ექომ გამოადვიძა დასახლებული პუნქტების მცხოვრებნი იმ რაიონში, სადაც მისისიპი მექსიკის უურეს უერთდება.**

ამერიკის ამ უდიდესი მდინარის შესართავთან ერთმანეთს შეეტაკა ორი გემი. ტაივანის კომპანიის სატვირთო გემი დაეჯახა ერთ-ერთ ნავთობის ჩასასხმელ კარჩაას, ხვრელიდან გადმოღვრილ ნავთობს ცეცხლი მოედო, რომელიც გავრცელდა ნავსადგურის შიდა წყლებზეც. აფეთქებათა და ხანძრის შედეგად დაშავდა რამდენიმე ათეული კაცი, მნიშვნელოვანი მატერიალური ზარალი მოუვიდა ნავსადგურის ნაგებობებს, ხანძარი მოედო მისისიპიზე გადებულ ხიდსაც, რამაც ხანგრძლივი დროით მოშალა მიმოსვლა მდინარის ნაპირებს შორის.

ბრძოლა ცეცხლთან გრძელდება.

ბრძოლა მწვავდება

საფრანგეთი რეფერენდუმის წინ

პარიზი, 8 აპრილი. საკდესის კორესპონდენტი ა. კრასიკოვი იუწყება:

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების რეფორმისა და სენატის ფუნქციების შეცვლის შესახებ რეფერენდუმამდე სამი კვირით ადრე პოლიტიკური ბრძოლა საფრანგეთში სულ უფრო მწვავდება. ქვეყანა გაიყო ორ ბანაკად: რეფორმის მოწინააღმდეგეთა და მომხრეთა ბანაკებად, ამასთან პოლემიკა მათ შორის გასცდა იმ ვიწრო საკითხის ფარგლებს, რომელზეც ფრანგმა ამომრჩევლებმა უნდა გასცენ დადებითი ან უარყოფითი პასუხი. ადგილობრივ პოლიტიკურ მიმოხილველთა ერთსულოვანი აზრით, შექმნილ სიტუაციაში რეფერენდუმის დროს ესა თუ ის პასუხი არსებითად მოასწავებს ახლანდელი რეჟიმის მთელი პოლიტიკის მოწონებას ან დაგმობას.

„ჩვენი პოლიტიკური მოწინააღმდეგენი, — განუცხადა ანდორრის რადიოს კორესპონდენტთან ინტერვიუში მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ მორის კუვ დე მიურვილმა, — ამბობენ, რომ გამოდიან არა ოლქების შექმნის წინააღმდეგ, არამედ მთავრობის წინააღმდეგ, რომელმაც შესთავაზა ასეთი ღონისძიება“.

განზრახული რეფორმის მომხრეთა ბანაკში ამჟერად შედიან მთავრობის კოალიციის პარტიები: რესპუბლიკის დაცვის დემოკრატთა კავშირი და „დამოუკიდებელი რესპუბლიკელები“, ამასთან ეს უკანასკნელი დაჯგუფება არც თუ უეოუმანოდ შეუერთდა ამ ბანაკს. რაც შეეხება რეფერენდუმის მოწინააღმდეგეებს, მათ რიცხვს ახლა ეკუთვნიან არა მარტო მემარცხენე ოპოზიციის წარმომადგენელნი, არამედ აგრეთვე „ცენტრისტები“, რომლებიც უფრო მთავრობის უმრავლესობისაკენ იხრებიან, ვიდრე მემარცხენეებისაკენ.

დაწყებულმა კვირამ უნდა ჩაიაროს გამწვავებული ბრძოლის ნიშნით.

პრეზიდენტი დე გოლი აპირებს ეროვნული რადიოთი და ტელევიზიით გამოვიდეს რეფორმის დასაცავად. საფრანგეთის კომუნისტურ პარტიას განზრახული აქვს მისი გამოსვლის დღეს მასობრივი მიტინგი გამართოს პარიზის „მიუტიუალიტეტს“ დარბაზში, რათა მოუწოდოს ამომრჩევლებს უარყოფითი პასუხი გასცენ რეფერენდუმის დროს.

„ეს უარყოფა, — წერს „ლუმანიტე“, — კომუნისტებისათვის მოასწავებს არა მარტო მთელი პოლიტიკის დაგმობას, რომელიც ხელისუფლებს სურთ განამტკიცონ, არამედ აგრეთვე არანაკლებ მკაფიო არჩევანს სოციალური პროგრესისა და მოწინავე დემოკრატიის პოლიტიკის სასარგებლოდ“.

საიდუმლოების ატმოსფეროში

პეკინი, 8 აპრილი. (საკდესი). მერეე დღეა აქ გრძელდება „ჩინეთის კომუნისტური პარტიის სრულიად ჩინეთის IX ყრილობა“, მაგრამ ყრილობის გახსნისა და პრეზიდიუმის წევრთა სიის შესახებ პირველი ცნობის გარდა არავითარი ინფორმაცია არ გამოქვეყნებულა იმის შესახებ, თუ რა ხდება ყრილობის დახურულ დარბაზში. პეკინის რადიო დასჯერდა იმას, რომ რამდენიმე დღის განმავლობაში არაერთხელ გადასცა „ჩინეთის კომუნისტური პარტიის სრულიად ჩინეთის IX ყრილობის პრეზიდიუმის სამდივნოს საინფორმაციო კომუნიკე“.

ძუნწ ცნობებს ბვლებს უცხოელ მეთვალყურეთა კომენტარები, რომლებიც მხოლოდ მცირეოდენ ფაქტებს ეყრდნობა. მაგალითად, უცხოელმა ჟურნალისტებმა გამოიანგარიშეს, რომ ჩინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 180 წევრიდან და წევრობის კანდიდატიდან, რომლებიც მერეე ყრილობამ (1956 წელი) აირჩია, ახლანდელ ყრილობას ესწრება მხოლოდ 44.

პრეზიდიუმის წევრთა სია, აგრეთვე სატელევიზიო ქრონიკა ყრილობის გახსნის შესახებ ადასტურებს, რომ დელეგატების ნაკლებობა მეტს სამხედროები შეადგენენ.

საგენტოთა ცნობებით. ყრილობას არ ესწრება არც ერთი უცხო დელეგაცია.

ფოტოინფორმაცია

მალავი

მალავის რესპუბლიკა. დამოუკიდებლობის ძეგლი, რომელიც დაიდგა 1964 წლის 6 ივლისს — მალავის რესპუბლიკად გამოცხადების დღეს. იგი აღმართულია გზაზე, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს ორ დიდ ქალაქს — ბლანტაირს და ლიმბეს.

ფოტო ს. კულიკისა. (საკდესის ფოტოქრონიკა).

ბურუნდი

რესპუბლიკა ბურუნდი — ცენტრალური აფრიკის ერთ-ერთი ახალგაზრდა სახელმწიფო იმათგან, რომელთაც ექვსი წლის წინათ მოიპოვეს დამოუკიდებლობა.

სურათზე: სამშობიარო სახლის შენობა ქალაქ კიტეგეში — რესპუბლიკის უძველეს დედაქალაქში.

ფოტო ვ. ევსეევისა, (საკდესის ფოტოქრონიკა).

მაროკო

მაროკო. მეფის არმიის ქვეითა კასაბლანკაში — ქვეყნის ერთ-ერთ უდიდეს ნავსადგურში.

ფოტო ბ. კატკოვისა, (საკდესის ფოტოქრონიკა).

ბრძოლა მწვავდება

საფრანგეთი რეფერენდუმის წინ

ნიუ-იორკი, 7 აპრილი. (საკდესი). **ამერიკის შეერთებული შტატები არღვევს ჟენევის 1925 წლის კონვენციას და კვლავ იყენებს ქიმიურ და ბაქტერიოლოგიურ იარაღს დანაშაულებრივ ომში, რომელსაც უკვე მრავალი წელია ვიეტნამში აწარმოებს, წერს გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“.** ამერიკის მჭიდროონი სამხრეთვიეტნამელ პატრიოტთა წინააღმდეგ ომში იყენებს „ქიმიურ საშუალებებს ჯუნგლებში ფოთლების მოსაპრეგებლად და ვიეტნამში მოსალის მოსასპობად“, აგრეთვე „სხვადასხვა სახეობის გაზებს, რომლებსაც მწყობრიდან გამოჰყავთ პირადი შემადგენლობა“, აღნიშნავს გაზეთი სტატიაში.

გაზეთი წერს, რომ შეერთებული შტატები შხამქიმიკატების წარმოებისათვის ყოველწლიურად ხარჯავს ასობით მილიონ დოლარს. ამასთან, ხაზს უსვამს გაზეთი, შეუძლებელია ზუსტად დადგინოთ თანხა, რომელსაც პენტაგონი ხარჯავს ამ სახეობათა იარაღის შექმნისათვის. რადგან „ამ დარგში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისათვის განკუთვნილი ფონდები თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტში განაწილებულია არაფორმალური ფორმით“.

ამას წინათ ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო სამინისტრომ კონგრესის წევრებისათვის მოაწყო საინფორმაციო თათბირი ქიმიური და ბაქტერიოლოგიური იარაღის საკითხზე. ამ თათბირზე პრესისა და საზოგადოებრიობის წარმომადგენლები არ დაუშვეს.

ამასთან დაკავშირებით გაზეთი აღნიშნავს, რომ სულ უფრო ძლიერდება ამერიკის პროგრესული საზოგადოებრიობის შეშფოთება. ყოველ სადად მოაზროვნე ამერიკელს, ნათქვამია სტატიაში, უნებურად ებადება კითხვა, თუ რატომ არ უნდა იცოდეს და არ უნდა იხილავდეს საზოგადოებრიობა ქიმიური და ბაქტერიოლოგიური ომის პრობლემებს, როცა ეს ეხება მთელი კაცობრიობის მომავალს.

ეშეფოთება ძლიერდება

ნიუ-იორკი, 7 აპრილი. (საკდესი). **ამერიკის შეერთებული შტატები არღვევს ჟენევის 1925 წლის კონვენციას და კვლავ იყენებს ქიმიურ და ბაქტერიოლოგიურ იარაღს დანაშაულებრივ ომში, რომელსაც უკვე მრავალი წელია ვიეტნამში აწარმოებს, წერს გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“.** ამერიკის მჭიდროონი სამხრეთვიეტნამელ პატრიოტთა წინააღმდეგ ომში იყენებს „ქიმიურ საშუალებებს ჯუნგლებში ფოთლების მოსაპრეგებლად და ვიეტნამში მოსალის მოსასპობად“, აგრეთვე „სხვადასხვა სახეობის გაზებს, რომლებსაც მწყობრიდან გამოჰყავთ პირადი შემადგენლობა“.

ამერიკის შეერთებული შტატები ომის სარეფაქციო სტატიაში.

გაზეთი წერს, რომ შეერთებული შტატები შხამქიმიკატების წარმოებისათვის ყოველწლიურად ხარჯავს ასობით მილიონ დოლარს. ამასთან, ხაზს უსვამს გაზეთი, შეუძლებელია ზუსტად დადგინოთ თანხა, რომელსაც პენტაგონი ხარჯავს ამ სახეობათა იარაღის შექმნისათვის. რადგან „ამ დარგში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისათვის განკუთვნილი ფონდები თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტში განაწილებულია არაფორმალური ფორმით“.

ამას წინათ ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო სამინისტრომ კონგრესის წევრებისათვის მოაწყო საინფორმაციო თათბირი ქიმიური

ეროვნული

ეროვნული

საერთაშორისო ცხოვრება

ბრძოლა მწვავდება

საფრანგეთი რეფერენდუმის წინ

ბოლოდ

ფაქტები

● **კაირო,** 8 აპრილი. (საკდესი), დღეს დილით ისრაელის ჯარებმა არტილერიისა და ტანკებმაფრქვევის ცეცხლი დაუშინეს ეგვიპტის არმიის პოზიციებს ქალაქების პორტ-ტაუფიკისა და აბუ-შატის რაიონში (სუეცის არხის სამხრეთი სექტორი), გამოაცხადა სამხედრო კომუნიკეში არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების წარმომადგენელმა. მოგვიანებით ისრაელის არტილერიამ ცეცხლი დაუშინა ქალაქ ისმაილიას (არხის ცენტრალური სექტორი). ეგვიპტის ჯარებმა საპასუხო ცეცხლით ჩაახშეს მოწინააღმდეგის ცეცხლის წერტილების ნაწილი.

● **ნიუ-იორკი,** 8 აპრილი. (საკდესი). ჯეიმს რეის ადვოკატებმა, რომელსაც ბრალად ედება მარტინ ლუთერ კინგის მკვლელობა, არზა შეიტანეს მკვლელისათვის განაჩენის სასამართლო წესით გადასინჯვის შესახებ. ისინი ამტკიცებენ, რომ რეიმ თავი დამნაშავედ ცნო მასზე ზეგავლენის მოხდენის შედეგად.

რეის, რომელსაც მიუსაჯეს 99 წლის პატიმრობა, როგორც ჩანს, უფრო რბილი განაჩენის იმედი აქვს.

● **ლონდონი,** 8 აპრილი. (საკდესი). **მარტო უკანასკნელ ხუთ წელიწადში აღებული სესხის შედეგად გასული წლის დეკემბერში ინგლისს სამ მილიარდზე მეტი გირვანქა სტერლინგი მართებდა უცხოეთის ბანკებისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდისა, წერს დღეს „ფაინენშელ ტაიმსი“.** ამ თანხის დიდ ნაწილს, აღნიშნავს გაზეთი, შეადგენენ მოკლევადიანი კრედიტებით აღებული სესხის ვალდებულებანი.

ნიუ-იორკი, 7 აპრილი. (საკდესი). **ამერიკის შეერთებული შტატები ომობენ ვიეტნამში.** ამ ფრაზით ამთავრებს ამერიკელ ჟურნალისტ ბერნარ ფოლის ბოლო ინტერვიუ, ინტერვიუ, ინტერვიუ,

ი. ნონეშვილის საიუბილეო საღამო

ბაკადეზის 50 წელი შეუსრულდა ქართული საბჭოთა პოეზიის ერთ-ერთ თვალსაჩინო წარმომადგენელს იოსებ ნონეშვილს.

პოეტის ცხოვრებაში ამ ღირსშესანიშნავ თარიღს მიეძღვნა საიუბილეო საღამო, რომელიც 7 აპრილს გაიმართა მარჯანიშვილის სახელობის აკადემიურ თეატრში. დარბაზში შეიკრიბნენ ლიტერატურის, მეცნიერების, ხელოვნების მუშაკები, ქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, ი. ნონეშვილის ნიჭის პატივისმცემლები.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს მწერალთა კავშირის პირველმა მდივანმა გ. აბაშიძემ. „მრავალყაყმიერის“ ხმებში მაყურებლები მიესალმნენ იუბილარს.

მოხსენება ი. ნონეშვილის შემოქმედებისა და საზოგადოებრივი მოღვაწეობის შესახებ გააკეთა საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანმა კრიტიკოსმა ბ. ყულენტმა. მომხსენებელი შეეხო პოეტის დამსახურებას ქართული ლიტერატურის წინაშე, მის მისწრაფებას ეანგარძოს ქართული კლასიკური ლიტერატურის საუკეთესო ტრადიციები. პოეტის მძაფრი და თანამედროვე ეულერადობის ლექსები, — თქვა ბ. ყულენტმა, — პოულობენ გზას მკითხველთა გულისაკენ.

კულტურის მუშაკთა სახელით იოსებილარს მიესალმა რესპუბლიკის კულტურის მინისტრი ო. თაქთაქიშვილი, ი. ნონეშვილს 50 წლისთავი მიულოცეს პოეტებმა ა. მირცხულავამ, რ. მარგიანმა, ხ. ბერულავამ, ლ. სულაბერიძემ, ჯ. ჩარკვიანმა, მ. მაჭავარიანმა, მ. ლებანიძემ, ზ. ბოლქვაძემ, მ. ფოცხიშვილმა, ო. შალამბერიძემ.

დიდი სამამულო ომის წლებში ი. ნონეშვილი მუშაობდა სამხედრო კორესპონდენტად. ამ წლების სამახსოვროდ ამიერკავკასიის წითელდროშოვან სამხედრო ოლქის გაზეთ „ლენინსკოე ზნამიას“ კოლექტივმა ი. ნონეშვილს მიართვა ჯარისკაცის ტანსაცმლის კომპლექტი. ოლქის უურნალისტთა სახელით პოეტს მიესალმა გაზეთ „ლენინსკოე ზნამიას“ რედაქტორი მ. გოლოვასტაკოვი.

იუბილარის მისალოცად მოძმე უკრაინიდან ჩამოვიდა მირგოროდის დავით გურამიშვილის სახლ-მუზეუმის დირექტორი, პოეტი ო. იურენკო, ბათუმიდან — საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის განყოფილების მდივანი პოეტი ფ. ხალვაში, გურჯაანიდან — პარტიის რაიკომის მდივანი შ. ბასილაშვილი და ამ რაიონის საზოგადოებრიობის სხვა წარმომადგენლები.

მარჯანიშვილის სახელობის აკადემიური თეატრის კოლექტივის სახელით ი. ნონეშვილს მიესალმა სსრ კავშირის სახალხო არტისტი ვ. გოძიაშვილი. უცხო ენათა ინსტიტუტის რექტორატი, პარტიული ორგანიზაციის, მასწავლებელთა და სტუდენტთა სახელით პოეტს მიესალმა ინსტიტუტის პროორექტორი გ. შიოშვილი.

საღამოზე პოეტის ლექსები წაიკითხეს რესპუბლიკის სახალხო არტისტებმა ტ. საყვარელიძემ, ი. ტრიპოლსკიმ, რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტებმა დ. ქუთათელაძემ, ე. ყიფშიძემ. შესრულდა კომპოზიტორების რ. ლაღიძის, შ. მელორავას, ო. თევდორაძის, ხ. მირიანაშვილისა და სხვა კომპოზიტორების სიმღერები, რომლებიც ი. ნონეშვილს ლექსებზეა დაწერილი. ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ვოკალურმა ჯგუფმა პირველად შეასრულა ი. ნონეშვილისადმი მიძღვნილი შ. მილორავას სიმღერა მ. ფოცხიშვილის სიტყვებზე.

ი. ნონეშვილმა მხურვალე მადლობა გადაუხადა შეკრებილთ მისი შემოქმედების მაღალი შეფასებისათვის.

საიუბილეო საღამოს დაესწრო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი დ. სტურუა. (საქდესი).

კონკურსის ვადა გაგრძელებულია

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის, საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის და საქართველოს მწერალთა კავშირის გადაწყვეტილებით ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავთან და საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავთან დაკავშირებით გამოცხადებული კონკურსის პირველი ტურისათვის წარმოდგენილ ლბრეტოებსა და სცენარებს ფიური განიხილავს **ა. წ. 1 ივნისამდე.**

მეორე ტურისათვის შერჩეული სცენარების განხილვის ვადა გაგრძელებულია **ა. წ. 15 ნოემბრამდე.** (საქდესი).

თეატრალური ქრონიკა

◆ ცხინვალის კ. ხეთაგუროვის სახელობის სახელმწიფო თეატრის ოსურმა დრამა მაყურებელს უჩვენა მ. მრევლიშვილის დრამა „ზეპაპე“. დადგმა მკუთვნის ოსური დასის მთავარ რეჟისორს ვ. კაიროვს, მხატვრობა — რესპუბლიკის ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს თ. გაგლოევს, მუსიკა — კომპოზიტორ ი. გაბარაევს.

ვ. ბელიკოვი.

◆ **ბიათურა.** კაცხის კულტურის სახლის თვითმოქმედმა თეატრალურმა კოლექტივმა წარმოადგინა ახალი დადგმა — ს. შანშიაშვილის მიერ ინსცენირებული „ხევისბერი გოჩა“.

სპექტაკლი დადგა კულტურის სახლის დირექტორმა გ. აბზიანიძემ.

რ. ჩიხელიძე.

მატჩი მსოფლიოს პირველობაზე

ჩემპიონმა წაიბორძიკა

საოცარი რამ არის. მატჩის საზეიმოდ გახსნის დღეს ჩვენ გავეცანით თბილისის პიონერთა სასახლეს — მოჭადრაკეების სამკედლოს, სადაც ნონა დახელოვნდა. მსოფლიოს ჩემპიონი ხშირად გამოდის ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში. დედოფლის გვირგვინისათვის იგი მოსკოვს ეწვია, ჩემპიონის წოდება რიგაში დაიცვა. თბილისში კი არასოდეს უთამაშია მსოფლიოს პირველობაზე. ახლა როგორც იქნება ვნახავთ, როგორ თამაშობს იგი თავის მოედანზე, როგორ უშველიან საკუთარი სახლის კედლები. აქამდე ნონა თბილისში მხოლოდ გულშემატკივრის როლში გამოდიოდა სსრ კავშირის სხვადასხვა ჩემპიონატებში. ამბობენ, რომ იგი მიხეილ ტალის დიდი ქომაგია.

8 მარტს ქალთა საერთაშორისო დღესასწაული იყო. დადგა 8 აპრილიც. ქალთა დიდი საჭადრაკო დღესასწაული.

გუშინ ჩვენ საჭადრაკო პრემიერის ატმოსფეროში აღმოვჩნდით.

როგორც მოჭადრაკე ვაუებს, ქალებსაც არ უყვართ, როდესაც მათ „უტეხს“ ფოტოკორესპონდენტი. ამიტომ „მეომარმა მხარეებმა“ საერთო ენა გამონახეს. თამაშის დაწყებამდე ხუთი წუთით ადრე გაფრინდაშვილმა და კუშნირმა ნება დართეს ფოტოკორესპონდენტებს გადაეღოთ სურათი, რის შემდეგ გაისმა მთავარი არბიტრის ბრძანება: „საკმარისია!“

ამას მეტოქეთა ხელის ჩამორთმევა მოჰყვა. მადლობა ღმერთს! არც კი მინდა იმის გახსენება, თუ რამდენ ხანს გაგრძელდა მოლაპარაკება, სანამ ჩემპიონი და პრეტენდენტი რუსთაველის სახელობის თეატრის მცირე დარბაზში აღმოჩნდებოდნენ. დღეს როგორც ქალებს ისე ვაუებსაც საზეიმო განწყობილება აქვთ. ორი შესანიშნავი მოჭადრაკის ბრძოლა დაიწყო.

მაგრამ, ისე რომ ვთქვათ, ჩვენ რატომ უნდა ვიღელვოთ? საჭადრაკო მაგიდის ორივე მხარეს სსრ კავშირის ალმებია. ჩემპიონი ხომ ყველა შემთხვევაში ჩვენს ქვეყანაში დარჩება.

პირველი პარტია! მას ხშირად უდიდესი სპორტული და ფსიქოლოგიური მნიშვნელობა აქვს. ვაუებს მიაჩნიათ, რომ სტარტზე მოპოვებული გამარჯვება სასიცოცხლო ტონუსს მაღლა სწევს. ამ მხრივ ქალები როდი განსხვავდებიან მამაკაცებისაგან. გავიხსენოთ მატჩი რიგაში. პირველი პარტია მოიგო ნონამ, მეორე — ალამ, მესამე ყაიმით დამთავრდა.

პირველი სვლები სწრაფად გაკეთდა. შეიქმნა ცნობილი პოზიცია, რომელიც თეორეტიკოსებს თეორების სახარგებლოდ მიაჩნიათ. ეს პრაქტიკულად ორჯერ იქნა დამტკიცებული. ბენტ ლარსენმა ლამაზად მოუგო მსოფლიოს ჩემპიონ ტ. პეტროსიანს და (მაპატიოს პატივცემულმა მკითხველმა) თვით ბენტ ლარსენმა ვერ გაუძლო „კომუნისტის“ კორესპონდენტის მუქარებს და წაიგო ჩემპიონ სწორედ ის პოზიცია, რომელიც გუშინ 9 სვლის შემდეგ შეიქმნა.

შესაძლოა მოჭადრაკე ქალებმა და მათმა მწვრთნელებმა შეისწავლეს ეს ორი პარტია. კუშნირის მწვრთნელები დებიუტის არჩევით კმაყოფილნი იყვნენ, მაგრამ არც ა. გიპსლისი და ი. ნეი შეშფოთებულან. პოზიცია ცოტა უარესია, მეტი არაფერი.

ნონას მეცამეტე სვლა საეჭვო იყო. 13 რიცხვი ხომ თარსად ითვლება. მსოფლიოს ჩემპიონს პოზიციური შეცდომის შემდეგ კუშნირს შეეძლო პირდაპირი იერიში წამოეწყო, მაგრამ არასაკმაოდ ენერგიულად ითამაშა. ყველა ადამიანს თავისი სტილი, საკუთარი ხელწერა აქვს. კუშნირი ამჯობინებს პოზიციური უპირატესობის მოპოვებას, იერიში მაინცადამაინც არ უყვარს.

ნონას შევიწროებული პოზიცია ჰქონდა, ვერ გამოაჩენდა თავის ტაქტიკურ ნიჭს. თამაში მიდიოდა, როგორც ჰოკეიში იტყვიან, „შავების ზონაში“. მსოფლიოს ჩემპიონი, რომელიც საერთოდ სწრაფად თამაშობს, ახლა ციტნოტაში აღმოჩნდა. 25-ე სვლაზე ნონამ გაცვლითი კომბინაცია დაიწყო და მხედველობიდან გამორჩა მეტოქის 29-ე სვლა. შავების პოზიცია კრიტიკული გახდა.

ნონა დიდხანს ფიქრობდა, მაგრამ გამოსავალი არსად იყო. ფიგურა დაიკარგა. პრეტენდენტმა გაიმარჯვა.

ამ პარტიაში ჩემპიონს „ცუდი დღე“ ჰქონდა. პრეტენდენტი კი სადად და ძლიერად თამაშობდა.

სალო ფლორი.

• • •

სურათზე: თამაშობენ ნ. გაფრინდაშვილი და ა. კუშნირი.

ფოტო **ვლ. გინზბურგისა.**

მართალია, გაზაფხულმა დაიგვიანა, ზოგჯერ საკმაოდ ცივა კიდეც, მაგრამ თბილისში მაინც აფეთქდნენ ნუშის კვირტები.

ფოტო **ვ. მოროგუნოვისა.** (საქდესის ფოტოქრონიკა).

ტრავმატოლოგიის ერთ-ერთ ურთულეს პრობლემად ჯერ კიდევ რჩება მოტეხილობათა შეხორცების საკითხი. რა კეთდება ამ მხრივ მსოფლიო და საბჭოთა სამედიცინო მეცნიერებასა და პრაქტიკაში? სწორედ ამ კითხვებს ეხება სანიტარული განათლების ცენტრალური სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის კორესპონდენტების, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატების **ა. ბელოუსისა** და **ე. პანკოს** ეს წერილი.

ეძიებს მედიცინა

სიახლე მოტეხილობათა შეხორცებაში

ხალხი ოდითგანვე გამოთქვამდა თავის ოცნებას თქმულებებსა და ზღაპრებში. მრავალი რამ, რასაც ხალხი ნატრობდა, ახლა ჩვენს დროში, მაგრამ ოცნება „უკვდავების წყალზე“ ოცნებადვე დარჩა. ექიმს არ შეუძლია ჭრილობას ასხეროს ავი და შემდეგ უცქიროს, თუ როგორ ხდება მისი შეხორცება თვალდათვალ. მეცნიერება დღემდე ეძიებს საშუალებებს, რომელთა მეშვეობით შესაძლებელი იქნებოდა დაგვჩქარებინა ძვლების, სახსრების, ქსოვილების დაზიანებათა მკურნალობა. ამ გზაზე წარუმატებლობამ წარმოშვა დოქტრინა, რომლის თანახმად მოტეხილობათა შეხორცება წმინდა ბუნებრივი პროცესია, ვთქვათ, ორსულობის მსგავსი. ეს პროცესი კი ვერ ითმენს გარედან ჩარევას. ექიმებს ისღა დარჩენიათ — მხოლოდ პირობები შექმნან, რომლებიც ხელს შეუწყობენ ძვლების სწორ შეერთებას. ასე გაჩნდა პირველად პრიმიტიული არტახები, ბოლოს კი თაბაშირის სახვევები და სხვადასხვაგვარი ლითონის კონსტრუქციები.

მაგრამ მონდომებულ ტრავმატოლოგებს არ აკმაყოფილებდა ყველაფერი ეს. ისინი ხედავდნენ, რომ მოტეხილობათა შეხორცების პრობლემისადმი წმინდა ტექნიკური მიდგომა არ მოგვცედა დამაკმაყოფილებელ შედეგებს. დაიწყო ძვლის მთლიანობის აღდგენის ბიოლოგიურ კანონზომიერებათა უფრო ღრმად შესწავლა. ამ პროცესში გამოვლინდა გარკვეული სტადიები. მოტეხილობაში პირველად წარმოიქმნება სისხლის ჩაქცევის უბანი, რომელიც შეიცავს დაღვეულ კუნთების, ნეკვების და ძვლისაზრდელას ნაწილებს. შემდეგ ეს არე ივსება განსაკუთრებული უჯრედებით, რომლებსაც უნარი შესწევთ გამოიმუშაონ ხრტილისმაგვარი ნივთიერებანი. ისინი კი, თავის მხრივ, ადუღაბებენ მოტეხილობას. და, ბოლოს, იწყება ნამდვილი ძვლის ქსოვილის წარმოქმნა.

სულ უფრო მტკიცდებოდა აზრი, რომ ზემოთქმულის მიუხედავად, მაინც შეიძლება ვაიძულოთ უჯრედები უფრო აქტიურად გამომუშაონ ძვლის ქსოვილი. და თვითონ ძვლის ქსოვილს ახლა მეცნიერებმა შეხედეს არა როგორც რაღაც ინერტულ სავფეძველს, არამედ როგორც პლასტიკურ სტრუქტურას, რომელიც ფხიზლად, ახლეს რეგენერაციას ორგანიზმში მომხდარ მინერალური გაცვლის დარღვევაზე. წარმოიშვა იდეა — ეცადათ მოტეხილობათა შეხორცება, დაეჩქარებინათ ბიოლოგიური ელემენტების — ქსოვილთა ექსტრაქტების, გამონაწურების, სისხლის პრეპარატების და სხვათა დახმარებით, რომლებიც, მართალია, არ აძლევნენ რაიმე სპეციფიკურ მოქმედებას, მაგრამ მაინც ამაღლებენ ქიმიური რეაქციების ენერგეტიკულ დონეს და ამგვარად აუჩქარებენ ადგილობრივ აღდგენითს პროცესებს. სამწუხაროდ, გამოირკვა, რომ ამგვარი პრეპარატების მეტი ნაწილი შეიცავს უცხოსხეულებრივ ცილებს და შეუძლიათ გამოიწვიონ არასასურველი რეაქციები.

წამოყენებულ იქნა წინადადება უფრო ფართოდ გამოიყენებინათ ულტრამაღალი სიხშირეები, ულტრაგგრა, ულტრაიისფერი სხივები და სხვა ფიზიკური ფაქტორები. მართალია, მათი მოქმედებაც არასპეციფიკურია, მაგრამ მათი ზემოქმედების მექანიზმი ქსოვილურ პრეპარატებთან შედარებით ჯერ ნაკლებად არის შესწავლილი.

ფიზიკის, ქიმიის, კრისტალოგრაფიის, მოლეკულური ბიოლოგიის, გენეტიკის უსწრაფესი განვითარების წყალობით მედიცინამ უკანასკნელ წლებში მიიღეს ახალი ცნობები ძვლის აღდგენის მიმდინარეობათა შესახებ. გამოცდის დროს ეს პროცესი უფრო რთული და მრავალსაფეხურიანი აღმოჩნდა, ვიდრე ადრე წარმოედგინათ. დასაბუთდა, რომ ძვლის ქსოვილის ძირითადი მშენებლის როლში გამოდიან სპეციალიზებული უჯრედები. უცნობი ფაქტორების ზემოქმედებით ამ უჯრედის ინფორმაციული საკუნძოდან წარმოქმნას იწყებენ მითითებანი „მუშა რაზმების“ — რიბონუკლეინმჟავა მოლეკულების შესაქმნელად. ეს უკანასკნელნი დგებიან სამუშაო ვახტზე და ქმნიან მომავალი ძვლის ორგანულ საფუძველს და გარდა ამისა ფერმენტებსაც, რომლებიც ხელს უწყობენ მის მინერალიზაციას. მაგრამ, საწუხაროდ, მოტეხის „მომენტში“ ავარიის ადგილას სპეციალიზებული უჯრედების ძალიან მცირე ნაწილი აღმოჩნდება ხოლმე, მათი რიცხვი კი ნელა იზრდება. შესაძლებელია თუ არა დაეჩქაროთ მათ?

დაიწყო ექსპერიმენტები, ტრავმის შემდეგ ცხოველის ორგანიზმში მაშინვე შეჰყავდათ სხვადასხვა გამონაწურები და ექსტრაქტები, რომლებიც შეიცავდნენ უკვე მზა რიბონუკლეინმჟავა მოლეკულებს. მათ იღებდნენ სხვა ცხოველთა მოტეხილობის არეს ქსოვილებიდან. ეს ღონისძიება სპეციფიკურ, მიმართულ მოქმედებას ახდენდა — ძვლის შეხორცების დრო თითქმის ერთიორად მცირდებოდა.

მაგრამ ცოცხალი ორგანიზმი ერთ მთლიანობას წარმოადგენს. ყოველგვარი ტრავმა აუცილებლად ქმნის ორგანიზმში ავარიულ სიტუაციას, რომელსაც მაშინვე „ეხმაურებიან“ სხვა ორგანოები და ქსოვილები. დაზიანების სალიკვიდაციოდ გამოდიან, რა თქმა უნდა, ჩანაფიქრის მიხედვით. სხვადასხვა დამცველ-შემგუებელი მექანიზმები, ორგანულებითაც ასე მდიდარია ორგანიზმი. რა შეიძლება გაკეთდეს ამ მხრივ? ჩვენი ქვეყნის მკვლევარებმა შენიშნეს, რომ ყოველგვარი მოტეხილობის დროს თავს იჩენს მინერალური, ენერგეტიკული და ცილოვანი რესურსების საერთო დეფიციტი. და ეს არც არის გასაკვირველი — მათი უმრავლესობა ზობილზებული და გადასროლილია უშუალოდ მოტეხილობის ზონაში. რა მოხდება, რომ ხელოვნურად შევავსოთ ამ ნივთიერებათა ნაკლებობა? ხომ არ შეიქმნება მაშინ გამოჯანმრთელებისათვის უფრო კეთილნაყოფიერი პირობები?

...ძიება გრძელდება. ძვლის შეხორცების დაჩქარება მეტად რთული ამოცანაა. მაგრამ მეცნიერებმა პრაქტიკის ექიმს უკვე რაღაც მაინც მიაწოდა. პირველი ნაბიჯი იმაში მდგომარეობს, რომ ჰორმონალური და სხვა პრეპარატების დახმარებით აღდგენის პროცესებს შევუქმნათ საერთო კეთილნაყოფიერი ფონი. შემდეგ, როცა გავიგებთ, თუ რომელ ნივთიერებათა დეფიციტი შეიქმნა კატასტროფის შემდეგ, შევავსოთ ისინი. ბოლოს კი რიბონუკლეინმჟავის მზა პრეპარატების გამოყენებით დავაჩქაროთ თვითონ ძვლის შექმნა.

ასე უკუგდებულ იქნა კიდევ ერთი ცრუ დოქტრინა, რომელიც ექიმებს უმოქმედობას აიძულებდა.

დ. ა. დოლონაძე —

ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი

საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე ამაგი ინსტიტუტის დოცენტმა **დავით აპოლონის-ძე დოლონაძემ** ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია თემაზე: **„სადაწნევო დერივაციული ჰესების სტაციონარული ჰიდრავლიკური რეჟიმების მდგრადობა“.**

სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს უმაღლესმა სატესტაციო კომისიამ დაამტკიცა **დ. ა. დოლონაძისათვის** ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მინიჭება.

ბაკურიანი, გაბერეფენაზე

მიმდინარე წლის ზაფხულში საფრანგეთის ქალაქ მარსელში სავაჭრო გაერთიანება „მანქანაექსპორტი“ აწყობს სამსხმელო მოწყობილობის სპეციალურად გამოფენას. გამოფენაზე თავის პროდუქციას წარადგენს თბილისის კალინინის სახელობის სამსხმელო მოწყობილობის ქარხანაც.

სხვადასხვა მოდელის ინერციული გისოსები, საწმენდი დოლები ამ საწარმოს მარკით ლიდი მოთხოვნით სარგებლობს არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ საზღვარგარეთაც. მათ ყიდულობენ ინგლისი, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკა, ირანი, გაერთიანებული რესპუბლიკა, ინდოეთი, კუბა და სხვა სახელმწიფოები. წელს მათ მიემატა კიდევ ორი ქვეყანა — ალჟირი და პაკისტანი.

მთლიანად დამთავრდა ქარხნის სპეციალიზაცია სამსხმელო მოწყობილობის წარმოების დარგში. 1965 წელთან შედარებით ახლა კალინინელები ორჯერ მეტ პროდუქციას უშვებენ. პირველი კვარტალის გეგმა შესრულდა ოცდა ტრენიკურ-ეკონომიური მაჩვენებლის მიხედვით.

ქარხნის კოლექტივი დგას ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავ შრომითს ვახტზე და გადაწყვეტა ხუთწლედის პროგრამა შეასრულოს 7 ნოემბრისათვის, მომდინარე წლის ბოლომდე აითვისოს სამსხმელო მანქანების ორი ახალი მოდელი. (საქდესი).

ახალი ლიდერი

7 აპრილს შედგა ორი შეხვედრა სსრ კავშირის პირველობაზე ყალათბურთში. კიევსა „ყალგირისმა“ და ლენინგრადის „სპარტაკმა“ რიგაში აიღეს წინა დღით რიგის ვეფ-თან და კიევის „სტროიტელთან“ დამარცხებისათვის. „ყალგირისმა“ გაიმარჯვა 86:77, „სპარტაკმა“ 67:63.

დღისათვის ლიდერთა ხუთეულის მდგომარეობა ასეთია: ცსკა-ს 30 თამაშიდან 22 ქულა აქვს, „ყალგირეს“ და „სტროიტელს“ 34 თამაშიდან 21-21 ქულა, თბილისის „დინამოს“ 30 თამაშიდან 20 ქულა, „ყალგირისს“ — 32 თამაშიდან 20 ქულა.

ადგილები ასე განაწილდა

დამთავრდა უმაღლესი ლიგის ყალათბურთელ ქალთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატი. როგორც ვიუწყებოდით, ჩემპიონი გახდა რიგის ტტ-ს გუნდი — 21 ქულა. ვერცხლის პრიზიორმა — მოსკოვის ოლქის „სპარტაკმა“ 17 ქულა შეაგროვა, ბრინჯაოს პრიზიორმა — ვილნიუსის „ციბირკშტისმა“ — 15 ქულა.

ფრე სტარტზე

გუშინ ქუთაისში გაიმართა სეზონის პირველი მატჩი საკავშირო პირველობაზე ფეხბურთში. თამაშობდნენ მოსკოვის „ლოკომოტივისა“ და ქუთაისის „ტორპედოს“ გუნდები.

ბრძოლა ორმხრივი იერიშით დაიწყო. მეტოქეებს ჰქონდათ ანგარიშის გახსნის რეალური შესაძლებლობა, მაგრამ ხელსაყრელი მომენტები გამოუყენებელი დარჩათ.

33-ე წუთზე სტუმართა საჯარიმო მოედანზე ვეკუას სარმით გაუმასპინძლდნენ. დაინიშნა 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმა და ხეიხაძემ ანგარიში გახსნა. 3 წუთი არც კი იყო გასული, რომ ლოკომოტიველებმა წონასწორობა აღადგინეს. გოლის ავტორი იყო ატამანიანი.

მეორე ნახევარი ტორპედოელთა აშკარა უპირატესობით აღინიშნა, მაგრამ ანგარიში უცვლელი დარჩა. მატჩის საბოლოო შედეგი ფრე 1:1.

გუშინ ფეხბურთის მოედნებზე

ბაკდა თბილისისა და ქუთაისისა, გუშინ საკავშირო ჩემპიონატების მატჩები ფეხბურთში გაიმართა კიდევ 8 ქალაქში. აი მათი შედეგები:

პირველი ქვეჯგუფი.

დონის როსტოვის არმიის სასპორტო კლუბის გუნდი — სვერდლოვსკის „ურალმაში“ 3:1.

ბაქოს „ნეფტჩი“ — კიევის „დინამო“ 0:0.

ოდესის „ჩერნომორეცი“ — არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბის გუნდი 0:1.

ლუგანსკის „ზარია“ — კუიბიშევის „კრილია სოვეტოვი“ 2:0.

ერევნის „არარატი“ — მოსკოვის „დინამო“ 3:2.

მეორე ქვეჯგუფი.

დონეცკის „შახტიორი“ — ლენინგრადის „ზენიტი“ 1:1.

ალმა-ატის „კაირატი“ — მინსკის „დინამო“ 0:0.

ტაშკენტის „პახტაკორი“ — მოსკოვის „სპარტაკი“ 1:2.



საგაზაფხულო „სენი“

„დინამო“ (თბილისი) — „ტორპედო“ (მოსკოვი) 0:0. თბილისი. 8 აპრილი. „ლოკომოტივის“ სტადიონი. მსაჯი — ტ. ბასრამოვი (ბაქო).

„დინამო“ — ურუშაძე, ძოძუაშვილი, კანთელაძე, ხურციოლავა, რეხვიაშვილი, პეტრიაშვილი, ილიადი, ასათიანი, მეტრეველი, ნოდია, მესხი (გაგაშელი).

„ტორპედო“ — ლაიზანი, იანეკი, პახომოვი, კრასნოვი, ჩუმაკოვი, ბულიამხაიდაროვი, ლენიოვი, ნიკანოვი, შალიმოვი, ბერეზოვიჩი, მიხაილოვი.

დიდ ინტერესს იწვევდა „ტორპედოსა“ და „დინამოს“ გუშინდელი მატჩი თბილისში. რა ნახეს მაყურებლებმა? უთუოდ მძაფრი და შეუპოვარი ბრძოლა. თამაშს რა თქმა უნდა, არ დაუკარგავს სანახაობითი ხასიათი, მაგრამ როგორც ყოველთვის სტარტზე, ამჯერადაც იგრძნობოდა ფეხბურთელთა საგაზაფხულო „სენი“ — არა ერთი შეცდომა და წუნი. ამ მხრივ უფრო მეტს დინამოელები სცოდავდნენ, ვიდრე ჩვენი გუშინდელი სტუმრები.

თუ დასაწყისში იგრძნობოდა დინამოელთა გარკვეული უპირატესობა — ერთიშები ფლანგებიდან და ცენტრიდან, თანდათანობით ეს ჩაქრა. სტუმრებმაც ამოისუნთქეს. ბრძოლის შემდეგი ფაზა ტორპედოელთა კონტრიერიშით ამოინშნა. იყო მომენტი როცა ჩვენი კარი გოლს გადაურჩა.

□

□

ფრე სტარტზე

გუშინ ქუთაისში გაიმართა სეზონის პირველი მატჩი საკავშირო პირველობაზე ფეხბურთში. თამაშობდნენ მოსკოვის „ლოკომოტივისა“ და ქუთაისის „ტორპედოს“ გუნდები.

ბრძოლა ორმხრივი იერიშით დაიწყო. მეტოქეებს ჰქონდათ ანგარიშის გახსნის რეალური შესაძლებლობა, მაგრამ ხელსაყრელი მომენტები გამოუყენებელი დარჩათ.

33-ე წუთზე სტუმართა საჯარიმო მოედანზე ვეკუას სარმით გაუმასპინძლდნენ. დაინიშნა 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმა და ხეიხაძემ ანგარიში გახსნა. 3 წუთი არც კი იყო გასული, რომ ლოკომოტიველებმა წონასწორობა აღადგინეს. გოლის ავტორი იყო ატამანიანი.

მეორე ნახევარი ტორპედოელთა აშკარა უპირატესობით აღინიშნა, მაგრამ ანგარიში უცვლელი დარჩა. მატჩის საბოლოო შედეგი ფრე 1:1.

ფრე სტარტზე

7 აპრილს შედგა ორი შეხვედრა სსრ კავშირის პირველობაზე ყალათბურთში. კიევსა „ყალგირისმა“ და ლენინგრადის „სპარტაკმა“ რიგაში აიღეს წინა დღით რიგის ვეფ-თან და კიევის „სტროიტელთან“ დამარცხებისათვის. „ყალგირისმა“ გაიმარჯვა 86:77, „სპარტაკმა“ 67:63.

დღისათვის ლიდერთა ხუთეულის მდგომარეობა ასეთია: ცსკა-ს 30 თამაშიდან 22 ქულა აქვს, „ყალგირეს“ და „სტროიტელს“ 34 თამაშიდან 21-21 ქულა, თბილისის „დინამოს“ 30 თამაშიდან 20 ქულა, „ყალგირისს“ — 32 თამაშიდან 20 ქულა.

ადგილები ასე განაწილდა

დამთავრდა უმაღლესი ლიგის ყალათბურთელ ქალთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატი. როგორც ვიუწყებოდით, ჩემპიონი გახდა რიგის ტტ-ს გუნდი — 21 ქულა. ვერცხლის პრიზიორმა — მოსკოვის ოლქის „სპარტაკმა“ 17 ქულა შეაგროვა, ბრინჯაოს პრიზიორმა — ვილნიუსის „ციბირკშტისმა“ — 15 ქულა.

ბაკურიანი, გაბერეფენაზე

მიმდინარე წლის ზაფხულში საფრანგეთის ქალაქ მარსელში სავაჭრო გაერთიანება „მანქანაექსპორტი“ აწყობს სამსხმელო მოწყობილობის სპეციალურად გამოფენას. გამოფენაზე თავის პროდუქციას წარადგენს თბილისის კალინინის სახელობის სამსხმელო მოწყობილობის ქარხანაც.

სხვადასხვა მოდელის ინერციული გისოსები, საწმენდი დოლები ამ საწარმოს მარკით ლიდი მოთხოვნით სარგებლობს არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ საზღვარგარეთაც. მათ ყიდულობენ ინგლისი, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკა, ირანი, გაერთიანებული რესპუბლიკა, ინდოეთი, კუბა და სხვა სახელმწიფოები. წელს მათ მიემატა კიდევ ორი ქვეყანა — ალჟირი და პაკისტანი.

მთლიანად დამთავრდა ქარხნის სპეციალიზაცია სამსხმელო მოწყობილობის წარმოების დარგში. 1965 წელთან შედარებით ახლა კალინინელები ორჯერ მეტ პროდუქციას უშვებენ. პირველი კვარტალის გეგმა შესრულდა ოცდა ტრენიკურ-ეკონომიური მაჩვენებლის მიხედვით.

ქარხნის კოლექტივი დგას ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავ შრომითს ვახტზე და გადაწყვეტა ხუთწლედის პროგრამა შეასრულოს 7 ნოემბრისათვის, მომდინარე წლის ბოლომდე აითვისოს სამსხმელო მანქანების ორი ახალი მოდელი. (საქდესი).

„ოლიმპიადა ტოკიო“

**ბოლო ინფორმაციით, ტოკიოს ოლიმპიადაზე ჩასულ ბრაზილიელ ფეხბურთელებს ბანდიტებმა ფული, ბილეთები, ტანსაცმელი ... ...